

გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი

Giorgi Mtatsmindeli University of Chant

9-10 ივნისი, 2025 წელი

9-10 June, 2025 Year

სტუდენტთა და ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო სამეცნიერო  
კონფერენცია  
მუსიკოლოგიისა და ეთნოლოგიის პრობლემები

**International Scientific Conference of Students and Young Researchers**  
**Issues of Musicology and Ethnology**

**კონფერენციის მოხსენებების აბსტრაქტები**  
**Abstracts of conference papers**

კონფერენცია ეძღვნება ცნობილი ქართველი მუსიკისმცოდნის,  
პროფესორ მანანა ანდრიაძის ხსოვნას.

The conference is dedicated to the memory of the famous Georgian musicologist,  
**Professor Manana Andriadze**

თბილისი, საქართველო  
Tbilisi, Georgia



**გვანცა მაისურაძე**

გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი, I კურსი

### **რაჭის ფოლკლორული ტრადიციები და პრობლემები**

რაჭა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა. გამოირჩევა თბილი, მშრომელი მოსახლეობითა და მდიდარი წეს-ჩვეულებებით. რაჭის კულტურა თავისებური და გამორჩეულია; ხუროთმოძღვრება, სამხარეულო, რაჭული ცეკვა/სიმღერა ეს ყოველივე უძველესია და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. საინტერესოა რაჭული ფოლკლორი თავისი თვითმყოფადობით, რომელიც რაჭის მაღალ მთებსა და ძლიერი ბუნების ხალხში შეიქმნა.

ჩვენი ყურადღება და კვლევის საკითხი რაჭის რამოდენიმე ფოლკლორულ ნიმუშს შეეხება. მათ შექმნასთან დაკავშირებულ ისტორიასა და ტრადიციებს, ასევე მათ ადრეულ შემსრულებლებს და ლოტბარებს, რაც რაჭული ფოლკლორის შესწავლისა და დახასიათების საშუალებას მოგვცემს.

საინტერესოა როგორ განვითარდა ამ ფოლკლორული ნიმუშების სასიცოცხლო ციკლი, როგორ სრულდება დღესდღეობით ისინი, განიცადა თუ არა ცვლილებები პირვანდელ სახესთან შედარებით და ა.შ. ეს ის საკითხებია, რომელთა კვლევას და შესწავლასაც დაეთმობა ჩვენი ნაშრომი. ასევე, საინტერესოა რაჭული სამგალობლო ტრადიციები. ცნობილია რომ, რაჭაში რამოდენიმე მნიშვნელოვანი სამონასტრო კერა არსებობდა, აღნიშნული საკითხი კი მეცნიერულ შესწავლას საჭიროებს მასალების გამოსავლენად.

**Gvantsa Maisuradze.**

Giorgi Mtatsmindeli University of Chant

Bachelor, I course

### **Folklore of Racha, Traditions and Problems**

Racha is one of the most beautiful corners of Georgia. It is distinguished by its warm, hardworking population and rich customs. Culture of Racha is unique and distinctive;

architecture, cuisine, dance/song - all of this is ancient and passed down from generation to generation.

Folklore of Racha is interesting for its originality, which was created in the high mountains of Racha and among the people of strong nature.

Our attention and research topic will concern several folklore samples of Racha, the history and traditions associated with their creation, as well as their early performers and lotbars, which will allow us to study and characterize the folklore of this corner.

It is interesting how the life cycle of these folklore samples developed, how they are performed today, whether they have undergone changes compared to their original form, etc. These are the issues to which our work will be devoted.

Also interesting are the Racha hymn traditions. There were several important monasteries in Racha, this requires scientific study to identify the materials.

**მარიამ გრიგალაშვილი**

გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი

მაგისტრატურა, II კურსი

**საგალობლის „აწ განუტევე მონა შენი“**

**(ისტორიულ-თეორიული ასპექტები)**

სახარების ტექსტების მქონე საგალობელთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სიმეონ მიმრქმელის ლოცვა „აწ განუტევე მონა შენი“, რომელიც ჟღერს მწუხრის დასასრულს, თხოვნითი და მრჩობლი კვერექსების წინ და მისი ლიტურგიკული ფუნქცია მრევლის განტევებაა. ამასთან, საღმრთო ისტორიასთან კავშირში, სიმეონ მიმრქმელის ლოცვით ხდება განკაცებული მესიის პირველი აღიარება.

„აწ განუტევე მონა შენი“ მე-19 საუკუნის სანოტო ხელნაწერების მიხედვით, ერთმნიშვნელოვნად მწუხრის მსახურების საგალობელია და ექვემდებარება რვახმათა სისტემას, კერძოდ, გაწყობილია ტროპარ-დასდებლის ხმებზე, მაგრამ თითო-ორი ცალკეული ნიმუში, რომლებზეც არ არის მითითება, როგორც მწუხრის საგალობლებზე, ანტიფონის მესამე ხმაზეა გაწყობილი. მათგან ერთ-ერთი, კერძოდ

შემოქმედის სკოლის „აწ განუტევე“, ფაქტობრივად, ერთადერთია, რომელიც არა მწუხრის მსახურების, არამედ, კონკრეტულად, მირქმის დღესასწაულის საგალობლად არის სახელდებული.

მოხსენებაში საგალობელი „აწ განუტევე მონა შენი“ განხილულა ისტორიული და მუსიკალურ-თეორიული კუთხით. ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია შემოქმედის სკოლის ნიმუშზე.

**Mariam Grigalashvili**

Giorgi Mtatsmindeli University of Chant

Master's student, II course

### **"Now Release Your Servant" – Historical and Theoretical Aspects**

Among hymns derived from Gospel texts, the prayer of Simeon the Martyr, "Now Release Your Servant," holds a special place. This hymn is sung at the conclusion of Vespers and serves the liturgical function of absolution for the congregation. Additionally, within the context of divine history, Simeon's prayer marks the first recognition of the incarnate Messiah.

According to 19th-century manuscripts, "Now Release Your Servant" is clearly designated as a hymn for the Vespers service and adheres to the octave system. Specifically, it is arranged in the tone of troparion . However, there are a few individual examples that deviate from this arrangement, such as the hymns of Vespers, which are set in the third tone of the antiphon. One such example is the Shemoqmedi School's "Ats Ganuteve," which is not named as a hymn for the Vespers service but is specifically arranged for the Feast of the Annunciation.

This report examines the hymn "Now Release Your Servant" from both historical and musical-theoretical perspectives, with particular attention given to the example of the Creator's School.

ელენე ბუიშვილი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

ბაკალავრიატი, II კურსი

**ჟანრულ-სტილისტური ნოვაციები ჟან-ფილიპ რამოს სიუიტაში in G major/minor**

მოხსენება ეძღვნება ფრანგული ბაროკოს წარმომადგენლის ჟან-ფილიპ რამოს 1727 წელს დაწერილი სიუიტის in G major/minor ჟანრისა და სტილის მახასიათებლების დადგენას.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩატარებულია ნაწარმოების ჟანრული მახასიათებლების ანალიზი, დადგენილია რომ სიუიტა არ ეყრდნობა იმ დროისთვის ჩამოყალიბულ ჟანრულ მოდელს ოთხი აუცილებელი საცეკვაო ჟანრის ჩართვით. სიახლე გამოიხატება იმაში, რომ საცეკვაო ჟანრებიდან რამო მიმართავს მხოლოდ მენუეტს, დანარჩენი ნაწილები კი პროგრამული დასახელების სახასიათო პიესებს წარმოადგენს. პროგრამულობისკენ სწრაფვა და სახასიათო კონტრასტული პიესების დაპირისპირება მე-19 საუკუნის რომანტიკოს კომპოზიტორებს ინსტრუმენტული სიუიტების ჩამოყალიბების პერსპექტივას უქმნის.

მოხსენებაში ყურადღება ეთმობა რამოს სიუიტის სტილისტური მახასიათებლების დადგენას. მათ შორის ხაზგასმულია კომპოზიტორის კილოური აზროვნების განსაკუთრებული თავისუფლება. როგორც გამომსახველობის ძლიერ საშუალებას კომპოზიტორი შეგნებულად იყენებს ერთსახელიანი მაჟორისა და მინორის სისტემას, რომელიც „აყვავდა“ რომანტიზმის ეპოქის ყველა გამოვლინებაში.

**Elene Buishvili**

Tbilisi State Conservatoire

Bachelor, II course

**Genre-Stylistic Innovations in Jean-Philippe Rameau's Suite in G Major/Minor**

This presentation is dedicated to identifying the genre and stylistic characteristics of the Suite in G major/minor, composed in 1727 by the representative of the French Baroque, Jean-

Philippe Rameau.

Based on the objectives of the research, an analysis of the genre characteristics of the work has been conducted. It has been determined that the suite does not follow the established genre model of the time, which typically included four obligatory dance genres. The innovation lies in the fact that, among the dance genres, Rameau employs only the menuet, while the remaining movements are character pieces with programmatic titles. The tendency toward programmatic content and the contrast between character pieces create a perspective that anticipates the formation of instrumental suites by Romantic composers in the 19th century.

The presentation also focuses on the stylistic features of Rameau's suite, among them emphasizing the composer's exceptional freedom in tonal thinking. As a powerful means of expression, Rameau consciously employs the parallel major and minor system, which later flourished in all its manifestations during the Romantic era.

## ნინო თავაძე

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

ბაკალავრიატი, III კურსი

### თემატური განვითარება ბაროკოს პერიოდის პოლიფონიურ ვარიაციებში

(ი.ს. ბახის პასაკალიის მაგალითზე)

პოლიფონიური ვარიაციები ბაროკოს ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჟანრია. მასში განსაკუთრებით თვალსაჩინოა თემატიზმის განვითარების ბაროკოსული პრინციპები, ვინაიდან დიდ როლს თამაშობს როგორც პოლიფონიური დამუშავება, ისე ჰარმონიული აზროვნება და basso-continuo-დან წამოსული იმპროვიზაციული ტექნიკა. სწორედ ამ მახასიათებლებზე დაკვირვებას ისახავს მიზნად წარმოდგენილი ნაშრომი ი.ს. ბახის c-moll პასაკალიის ანალიზის მაგალითზე.

**Nino Tavadze**

Tbilisi State Conservatoire

Bachelor, III course

### **Thematic Development in Polyphonic Variations of the Baroque Period**

*(Based on J.S. Bach's Passacaglia in C Minor)*

Polyphonic variation is one of the most significant genres of the Baroque era, exemplifying the period's characteristic approaches to thematic development. In this genre, the interweaving of polyphonic elaboration with harmonic thinking and improvisatory techniques rooted in basso continuo plays a central role. This paper aims to explore these stylistic features through an analytical study of J.S. Bach's *Passacaglia in C Minor*, focusing on the ways in which thematic material is transformed, developed, and integrated into a unified musical architecture.

**ელენე ელიოზიშვილი**

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

მაგისტრატურა, II კურსი

### **არქექტიპული სიუჟეტები როკ ოპერის ჟანრული მოდელის მაგალითებში**

საკონფერენციოდ წარმოსადგენი მოხსენება ეთმობა კარლ გუსტავ იუნგის მიერ ჩამოყალიბებული არქექტიპების თეორიის განმარტებას და მისი გავლენის განხილვას ხელოვნებაზე, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის ესთეტიკის კონტექსტში.

არქექტიპების თეორია ავლენს კაცობრიობის კოლექტიურ არაცნობიერში არსებულ უნივერსალურ სურათებსა და თემატიზმს, რომელიც აისახება ლიტერატურაში, კინოში, თეატრსა და მუსიკაში.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არქექტიპული სიუჟეტების გამოვლინებას როკ ოპერის ჟანრში, კლასიკური კროსოვერის ნიმუშში. სხვადასხვა საეტაპო მნიშვნელობის ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე, როგორებიცაა: ჯგუფ

The Who-ს როკ ოპერა – “Tommy”, ენდრიუ ლოიდ ვებერის „Jesus Christ Superstar“, ალექსანდრე ჟურბინის „ორფეოსი და ევრიდიკე“ და იოსებ ბარდანაშვილის „ალტერნატივა“ - ნაშრომის ფარგლებში გამოკვლეულია, თუ როგორ ადაპტირდება და გარდაიქმნება ცნობილი, კლასიკური არქეტიპები, იგივე „უკვდავი სიუჟეტები“ ახალ კულტურულ და მუსიკალურ კონტექსტში.

კვლევა წარმოაჩენს, რომ როკ ოპერა, რომელიც აერთიანებს მითის, თეატრის, კლასიკური მუსიკისა და პოპულარული მუსიკის - მასობრივი კულტურის ელემენტებს, ხდება ძლიერი ინსტრუმენტი კოლექტიური და ინდივიდუალური განცდებისა და „კოლიზიების“ გამოხატვისთვის. ნაშრომი ასევე ეხმიანება XX-XXI საუკუნის ეპოქალურ-სტილისტურ გავლენას მუსიკალურ თეატრში ცნობილი არქეტიპების ინტერპრეტაციასა და დეკონსტრუქციაზე.

**Elene Eliozishvili**

Tbilisi State Conservatoire

Master's student, II course

### **Archetypal Narratives in Genre Models of Rock Opera**

The proposed conference paper titled “Archetypal Narratives in Genre Models of Rock Opera” explores Carl Gustav Jung’s theory of archetypes and its manifestation in the arts, particularly within the context of 20th-century postmodern aesthetics.

Jung’s theory of archetypes reveals universal imagery and thematic patterns embedded in the collective unconscious of humanity—motifs that manifest across literature, cinema, theater, and music. This study places special emphasis on the presence of archetypal plots in musical art forms, focusing specifically on the rock opera genre, which emerged in the 20th century as a synthetic and expressive form of the Classical Crossover.

Through the analysis of landmark works such as “Tommy” by The Who, “Jesus Christ Superstar” by Andrew Lloyd Webber, “Orpheus and Eurydice” by Alexander Zhurbin, and “Alternative” by Joseph Bardanashvili, the research investigates how well-known classical



archetypes—so-called “Eternal Plots”—are adapted and transformed within new cultural and musical contexts.

The study demonstrates that rock opera, which fuses elements of myth, theater, classical music, and popular (mass) culture, becomes a powerful medium for expressing both collective and individual experiences and conflicts. Furthermore, the paper addresses how epochal and stylistic shifts of the 20th and 21st centuries have influenced the interpretation and deconstruction of archetypes in musical theater.

## ტარა საია

ანადოლუს უნივერსიტეტის სახელმწიფო კონსერვატორია, (ირანი/თურქეთი)

მუსიკოლოგიის დეპარტამენტი

ბაკალავრიატი, II კურსი

### **ხმის კონტრაბანდა: ფარული მუსიკალური პრაქტიკა და აკრძალული მოსმენის კულტურა პოსტრევოლუციურ ირანში**

1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ, მკაცრმა კულტურულმა ცენზურამ შეცვალა არა მხოლოდ მუსიკის წარმოება, არამედ მისი მოხმარების რეჟიმებიც. მოცემული მოხსენება წარმოაჩენს, თუ როგორ აღმოჩნდა აკრძალული ჟანრები — მათ შორის დასავლური პოპი, კლასიკური სპარსული მუსიკა, ქალის ვოკალი და სუფიური საგალობლები — იატაკქვეშ და როგორ აგრძელებდნენ მსმენელები მათზე წვდომას შეზღუდვების მიუხედავად. საკითხი მუსიკის სოციოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის ჩარჩოშია განხილული.

კვლევის ცენტრშია „აკრძალული მოსმენის კულტურის“ ცნება: კასეტების ფარული გავრცელება, სახლში ფარული მოსმენა, უცხოური კონცერტების თანამგზავრული ტრანსლაცია და კერძო მოსმენის შეკრებები. ეს ქმედებები, პირადი დაუმორჩილებლობის მიღმა, ხელს უწყობდა საერთო მუსიკალური მეხსიერების რეპროდუქციას.

„ხმის კონტრაბანდა“ წარმოადგენს როგორც მატერიალურ, ასევე სიმბოლურ აქტს. საზოგადოებაში, სადაც მუსიკა გაჩუმებული იყო, ის იქცა გამოხატვისა და წინააღმდეგობის გადაუდებლად საჭირო მედიუმად. ზეპირი ისტორიებისა და არქივის პრაქტიკის მეშვეობით, კვლევა ავლენს, თუ როგორ ფორმირდა ხმა დივერსიულ სივრცედ.

ნაშრომი წარმოაჩენს, რომ ირანის მუსიკალურმა აკრძალვებმა არა მხოლოდ ჩაახშო, არამედ უნებლიეთ გახსნა ახალი სივრცეები ალტერნატიული თანამედროვეობისა და იდენტობის ფორმირებისთვის. დახურულ კარს მიღმა ქალის ხმის ჩურჩულიდან დაწყებული, საზღვრისპირა მუსიკალურ გაზიარებებამდე, ეს კვლევა აჩვენებს, თუ როგორ იქცა აკრძალული ხმა პოლიტიკური და ესთეტიკური წინააღმდეგობის ძლიერ მხარედ.

**Tara Sayyah**

State Conservatory Anadolu University, (Iran/Turkey)

Department of Musicology

Undergraduate Student, 2nd Year

### **Sound Smuggling: Covert Musical Practices and Forbidden Listening Cultures in Post-Revolutionary Iran**

Following the 1979 Iranian Islamic Revolution, strict cultural censorship reshaped not only music production but also its modes of consumption. This study examines how banned genres — including Western pop, classical Persian music, female vocals, and Sufi chants — were driven underground, and how listeners continued to access them despite restrictions. It frames the issue within music sociology and cultural anthropology.

Central to the research is the notion of a “culture of forbidden listening”: the clandestine circulation of cassette tapes, secretive home listening, satellite broadcasts of foreign concerts, and private listening gatherings. These acts, beyond personal defiance, fostered the reproduction of a shared musical memory.

“Sound smuggling” is presented as both a material and symbolic act. In a society where music was silenced, it became an urgently needed medium of expression and resistance. Through oral histories and archival practices, the study reveals how sound became a subversive space.

The paper contends that Iran’s musical bans did more than suppress — they unintentionally opened new spaces for alternative modernities and identity formations. From the whisper of a woman’s voice behind closed doors to cross-border musical exchanges, this study demonstrates how forbidden sound operated as a powerful site of political and aesthetic resistance.

### **თევფიკ თუნჯა უნდერი**

ილდიზის ტექნიკური უნივერსიტეტის  
სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მუსიკისა  
და საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამა  
დოქტორანტი

### **ბექირ შაჰინ ბალოლუ**

ილდიზის ტექნიკური უნივერსიტეტის  
სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მუსიკისა  
და საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამა  
ასისტენტ-პროფესორი

### **ოპერა „ქერემსა“ და თურქულ მუსიკას შორის ურთიერთმიმართების ანალიზი სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში**

თურქულენოვანი ოპერების მიზანი გახლდათ შემდეგი: შეესრულებინათ კატალიზატორის როლი თურქეთში სასურველი მუსიკალური ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის მისაღწევად, სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციისა და ეროვნული იდენტობის იდეალისტური ცვლილებებისთვის.

კომპოზიტორის ჭეშმარიტად გაგებისა და ამოცნობის საუკეთესო გზა, რა თქმა უნდა, კომპოზიტორისვე თვითგამოხატვის შესწავლაა. აჰმედ ადნან საიგუნი მიიჩნევდა, რომ ხელოვნება არ შეიძლება იყოს უნივერსალური, თუ ის არ დარჩება დაკავშირებული თავის ფესვებთან და არ ატარებს ჰუმანისტურ ხასიათს. კომპოზიტორის შემოქმედებითი მიზანი გახლდათ ადგილობრივიდან ეროვნულ, ეროვნულიდან კი უნივერსალურ მასშტაბზე გადასვლა. საიგუნი იყო კომპოზიტორი, რომელიც ყოველთვის წინ მიიწევდა. მის მიერ ტრადიციის გაგება თავის აზრს პოულობს ევოლუციურ პროცესში, რომელიც ასევე აერთიანებს ახალს. ამის ყველაზე კონკრეტული დასტურია ანატოლიური მოდალური-მულამის [მაჟამ-maqam] მელოდიების ახალი სტილით გადამუშავება, დასავლური მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ჰარმონიის გამოყენებით. საიგუნის ოპერაში „ქერემი“, რომელიც მან თურქეთში ფართოდ ცნობილ ხალხურ ზღაპარზე დაწერა, იდენტიფიცირებულია, რომ ჰუსეინის [Hüseyinî] — „თურქეთში ხშირად გავრცელებული მულამი“ — მსგავს წყობას თურქეთის ზოგიერთ რეგიონში იხსენიებენ როგორც „ქერემის მულამი“.

მოცემული კვლევის მიზანია გამოავლინოს ის სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები, რომლებიც თურქული მუსიკიდან გამომდინარე დგას ახლადშექმნილი თურქული ოპერის შემუშავების მიზნის უკან და გააანალიზოს ამ ძალისხმევის მუსიკალური ანარეკლები.

**Tefik Tunca Ünder,**

Yildiz Technical University,

Institute of Social Sciences Music and Performance Arts Programme.

Doctoral (PHD) Student

**Bekir Şahin Baloglu**

Yildiz Technical University,

Institute of Social Sciences Music and Performance Arts Programme.

Assistant Professor

## **An Analysis of the Relationship Between the Opera 'Kerem' and Turkish Music in a Socio-Political Context**

It was aimed that the operas considered to be performed in Turkish would serve as a catalyst for the musical change and transformation desired to be brought about in Turkey, the promotion of fine arts, and the idealistic transformation intended to be instilled in the national consciousness.

The best way to truly understand and recognize a composer is, of course, to refer to the composer's own expressions. Saygun, who stated that an art cannot be universal unless it remains connected to its roots and carries a humanistic character, aimed to transition from the local to the national, and from the national to the universal through his works, and was a composer who always moved forward. Ahmed Adnan Saygun's understanding of tradition finds its meaning in an evolutionary process that also integrates the new. The most concrete evidence of this is his treatment of modal-maqam melodies from Anatolia with a new style, using Western musical instruments and harmony. In Saygun's opera *Kerem*, which he composed based on a folk tale widely known in Turkey, it has been identified that, alongside Hüseynî—"commonly encountered maqam in Turkey" and this scale resemble the one referred to in some regions as the "Kerem maqam."

The aim of this study is to reveal the sociopolitical reasons behind the goal of developing a newly emerging Turkish opera by drawing from Turkish music, and to analyze the musical reflections of this effort.

ბაია ჟუჟუნაძე

თსკ-ს ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის

საერთაშორისო ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი.

### მესხური მუსიკალური დიალექტის ინტერდისციპლინარული კვლევის საკითხისათვის

თანამედროვე ეთნომუსიკოლოგია ტრადიციული მუსიკის შესწავლის ამოსავლად ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგის ალან მერიამის მიერ შემოთავაზებულ მეთოდოლოგიას – ტრადიციული მუსიკის სოციალურ-კულტურულ კონტექსტში შესწავლას მიიჩნევს, რაც ზეპირი ტრადიციის მუსიკის მუსიკალური და სოციალური სტრუქტურის კვლევას ითვალისწინებს. ქართული მუსიკალური დიალექტებიდან, სოციალურ-კულტურული პროცესების მრავალფეროვნებით მესხური მუსიკალური დიალექტი კვლევის მეტად საინტერესო ობიექტია.

ოსმალეთის იმპერიის სამ საუკუნოვან ბატონობის პერიოდიდან მოყოლებული, ვიდრე 1944 წელს მუსლიმი მოსახლეობის მასობრივ გადასახლებამდე, მულტიკულტურული გარემო, რომელშიც მესხებს უხდებოდათ ცხოვრება, განაპირობებდა ტრანსნაციონალიზმს, რომელიც არა მარტო მათი მუსიკისთვის, არამედ ზოგადად, მათი ცხოვრების წესისთვისა და გამოხატვის არამუსიკალური ფორმებისთვისაც იყო დამახასიათებელი. მესხეთის მულტიკულტურული მემკვიდრეობა, რაც დღევანდელი გადასახედიდან ამ კუთხის კულტურულ სიმდიდრეს წარმოადგენდა, საბჭოთა მართველობის პერიოდში მასიური გადასახლებებით საგრძნობლად შემცირდა, ნაწილი კი სრულიად გაქრა.

რაც შეეხება ამ მემკვიდრეობის კვლევას, რომელიც 1930 წლებიდან დაიწყო. რეგიონის შესწავლით დაინტერესებული ყველა მკვლევრის მთავარი მიზანი გახლდათ მესხეთში შემორჩენილი წმინდად ქართული პლასტის მოძიება და დაფიქსირება, რეგიონის ზოგად ქართულ კულტურულ კალაპოტში დაბრუნება, რაც იმჟამინდელი სახელმწიფოს პოლიტიკითა და იდეოლოგიითაც იყო ნაკარნახევი. აქედან

გამომდინარე, ინტერესს მიღმა დარჩა იმჟამინდელი მესხეთის მულტიკულტურული მემკვიდრეობა.

მოცემული მოხსენება მიზნად ისახავს მესხური მუსიკალური დიალექტი განიხილოს ისტორიულ-ეთნომუსიკოლოგიურ ჭრილში, წარმოაჩინოს ის პროცესები, რამაც ამ ტრადიციაში მრავალხმიანობის ქრობა და მონოფონიურობის გაბატონება განაპირობა.

კვლევა ინტერდისციპლინარული ხასიათისაა, რომელიც აერთიანებს კულტუროლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ეთნომუსიკოლოგიურ, ისტორიულ მეთოდებს. რამდენადაც მესხური მუსიკალური დიალექტი დღემდე არ გამხდარა კვლევის საგანი სოციალურ-კულტურული პროცესების ჭრილში, მოცემული მოხსენება საკითხის დასმის პირველი მცდელობაა.

**Baia Zhuzhunadze**

Researcher at the International Research  
Center for Traditional Polyphony  
of Tbilisi State Conservatoire

### **For the Interdisciplinary research Issue of Meskhetian Musical Dialect**

Modern ethnomusicology considers the methodology proposed by the well-known American anthropologist Alan Merriam as the origin of the study of traditional music – the study of traditional music in the social-cultural context, which considers the study of the musical and social structure of the music of the oral tradition. Among the Georgian musical dialects, the Meskhetian musical dialect is a very interesting object of research due to its diversity of social-cultural processes.

From the three-century period of Ottoman rule until the mass exodus of the Muslim population in 1944, the multicultural environment in which the Meskhs had to live led to a transnationalism that characterized not only their music, but also their way of life and non-

musical forms of expression in general. The multicultural heritage of Meskhethi, which from today's point of view represented the cultural richness of this region, was significantly reduced during the Soviet rule due to mass emigration, and some of it completely disappeared.

As for study of this heritage, which started in the 1930s. The main goal of all scholars interested in the study of the region was to find and record the purely Georgian layers preserved in Meskhethi, to return the region to the general Georgian cultural mainstream, which was dictated by the politics and ideology of the current state. Therefore, the current multicultural heritage of Meskhethi remained out of interest.

This paper aims to discuss the Meskhetian musical dialect from a historical-ethnomusicological point of view. To present the processes that led to the disappearance of polyphony and the predominance of monophony in this tradition.

The research is interdisciplinary in nature, combining cultural, anthropological, ethnomusicological, historical methods. Since the Meskhetian musical dialect has not been the subject of research in terms of social-cultural processes, this report is the first attempt to discuss the issue.

## **თამარ წულუკიძე**

გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი

მაგისტრატურა, II კურსი

### **„ალილუია“-ს ღვთისმსახურებაში ჩართულობის ფორმები**

ალილუია - „აქებდით უფალსა“, „ამინ“-თან ერთად ის წმინდა ებრაული გამოთქმაა, რომელიც არც ერთ ენაზე ითარგმნება. ადრეული პერიოდიდან „ალილუია“ ჩართულია საღვთისმსახურო პრაქტიკაში. იგი სხვადასხვა ფორმით ჩნდება მსახურებაში: ფსალმუნებში, სადაც ყოველი კანონი დაყოფილია „დიდებად“ და მოჰყვება „ალილუია“, ასევე, დავითნი მოიცავს საკუთრივ ალილუიად სახელდებულ ფსალმუნებს. „ალილუია“ ერთვის სხვადასხვა საგალობელს ერთგვარი რეფრენის



სახით, ან დასკვნით ნაწილში. სამგზის „ალილუია“ ენაცვლება ფსალმუნურ მუხლებს წირვისას სახარების წაკითხვის წინ. ამრიგად, „ალილუია“ ხშირად გაისმის ღვთისმსახურებაში, როგორც უფლის უსასრულო ქება-დიდება.

მოხსენებაში განხილულია „ალილუიას“ მსახურებაში ჩართულობის ფორმები, როგორც ისტორიულ კონტექსტში (ძველი და ახალი ტიპიკონების საფუძველზე), ასევე გამოვლინდება მისი მუსიკალურ-თეორიული კანონზომიერებები, მოხსენების მიზანია ალილუიების მნიშვნელობის გაანალიზება ლიტურგიკულ პრაქტიკაში.

**Tamar Tsulukidze**

Giorgi Mtatsmindeli University of Chant

Master's student, II course

### **Forms of “Alleluia” Participation in Worship**

“**Alleluia**” – meaning “Praise the Lord” – is, along with “Amen,” a sacred Hebrew expression that is not translated into other any languages. Since the early periods of Christian worship, “Alleluia” has been integrated into liturgical practice. It appears in various forms within services: in the Psalms, where each canon is divided by a "Doxology" followed by “Alleluia”; and in the Psalter, which includes psalms specifically referred to as “Alleluia Psalms.”

“Alleluia” also accompanies various hymns, either as a kind of refrain or as a concluding segment. The triple “Alleluia” replaces psalm verses during the Divine Liturgy, particularly before the reading of the Gospel. Thus, “Alleluia” frequently resounds throughout the liturgy as an expression of unending praise to the Lord.

This presentation explores the various forms of “Alleluia” used in worship – both in historical context (based on ancient and modern typikons) and through its musical-theoretical patterns. The goal of the study is to analyze the significance of “Alleluia” within liturgical practice.

## **ზურაბ წკრიალაშვილი**

მკვლევარი, ლოტბარი/რეგენტი

### **გიორგი სვანიძის ერთი ექსპედიციის შესახებ**

ქართლის ფოლკლორით და ქართლში ჩატარებული საექსპედიციო მასალებით ბოლო პერიოდში აქტიურად დაინტერესდნენ დარგის სპეციალისტები. 2021 წელს გამოიცა კრებული „ქართლური ხალხური სიმღერები. გიორგი სვანიძე“. ცნობილმა ფოლკლორისტმა გიორგი სვანიძემ შიდა ქართლში სხვადასხვა წელს ორი ექსპედიცია განახორციელა (1922, 1939 წელს). საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ საექსპედიციო მასალებში არაერთი საინტერესო და საყურადღებო ცნობა გვხვდება. სვანიძის მიერ ქართლში განხორციელებული საექსპედიციო მასალები ინახავს საქართველოს ამ რეგიონში XX-მდე შემონახულ ხალხური სიმღერის ცოცხალ ტრადიციას. ახალგაზრდა მკვლევრებისა და შემსრულებლებისათვის ეს მასალები ფასდაუდებელია.

მე როგორც შიდა ქართლის მკვიდრი და მუსიკოს-შემსრულებელი რამდენიმე წელია დავინტერესდი აღნიშნული საექსპედიციო ჩანაწერების შესწავლით და ფოლკლორული ნიმუშების ანსამბლში აჟღერებით. არქივის გაცნობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ქალაქ გორში - 1939 წელს ჩატარებულმა ექსპედიციამ, სადაც ეთნოფორი და მომღერალი ხიდისთაველი ვანო ტლაშაძე იხსენებს სიმღერა ჩაკრულოს ისტორიას. ეს არის ჩაკრულოს ერთ-ერთი უცნობი ქართლური ვარიანტი. ჩვენი მიზანია მოხსენებაში თავი მოვუყაროთ ორივე ექსპედიციაში არსებულ ცნობებს სიმღერა ჩაკრულოს წარმომავლობის, ისტორიისა და მუსიკალური რაობის შესახებ.

**Zurab Tskrialashvili**

Researcher, Choirmaster/Regent

### **About One of Giorgi Svanidze's Expeditions**

In recent years, specialists in the field have become increasingly interested in Kartli folklore and the expedition materials collected in Kartli. In 2021, a collection titled “Folk

Songs of Kartli. Giorgi Svanidze” was published. The well-known folklorist Giorgi Svanidze conducted two expeditions in Shida Kartli in different years (1922 and 1939). Among the expedition materials preserved in the National Archives of Georgia, one can find many interesting and noteworthy details. The expedition materials collected by Svanidze in Kartli preserve the living tradition of up to twenty folk songs from this region of Georgia. These materials are invaluable for young researchers and performers.

As a native of Shida Kartli and a musician-performer, I have been interested in studying these expedition recordings and performing the folk samples in an ensemble for several years now. While studying the archive, our attention was drawn to the expedition conducted in the city of Gori in 1939, where the ethnophore and singer from Khidistavi, Vano Tlashadze, recalls the history of the song Chakrulo. This is one of the unknown Kartlian versions of Chakrulo. Our goal in the presentation is to bring together the information from both expeditions about the origin, history, and musical nature of the song Chakrulo.

**თეონა ბენაშვილი.**

გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი

საეკლესიო მუსიკათმცოდნეობის მაგისტრი

**„ქება ქებულთა“ – მივიწყებული საგალობლები**

**ქართულ სამგალობლო ტრადიციაში**

ქართულმა სამგალობლო რეპერტუარმა, რომელიც მრავალსაუკუნოვან ტრადიციას მოიცავს, დღევანდელ დღემდე მრავალფეროვანი სახეობებით და მდიდარი ვერბალურ-მუსიკალური ელემენტებით მოაღწია. ქართული გალობის ხელნაწერ სანოტო წყაროებში ღვთისმსახურების დროს შესასრულებელი საგალობლების გვერდით ვხვდებით ისეთ საგალობლებსაც, რომლებიც

საღვთისმსახურო ტიპიკონის მიიღმა და განიცადედ სათქმელ საგალობლებად – „ქება ქებულთას“ სახელით მოიხსენიება.

დღესდღეობით აღნიშნული საგალობლები ღვთისმსახურების დროს აღარ სრულდება. მოხსენების მიზანია, პოპულარიზაცია გაუწიოს საგალობელთა ზემოთ ხსენებულ სახეობას და ხელი შეუწყოს მათ დაბრუნებას თანამედროვე მგალობელთა საშემსრულებლო რეპერტუარში. აღნიშნული პროცესი არამხოლოდ გაამდიდრებს საშემსრულებლო რეპერტუარს, არამედ ხელს შეუწყობს ტრადიციის აღდგენას, რაც განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია როგორც კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის, ისე მგალობელთა საშემსრულებლო რეპერტუარის გამდიდრების კუთხით. კვლევის საკითხის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ „ქება ქებულთაში“ წარმოდგენილი საგალობლები ძლისპირების ჯგუფს მიეკუთვნება, ძლისპირები კი როგორც უკვე ცნობილია რვა ხმის სისტემისაგან განსხვავებულ ჰანგთა მათარგანიზებელ სისტემას ექვემდებარებიან, რომელთა შესწავლასაც უკვე არაერთი ნაშრომი მიემდგნა და ამ კუთხით მუშაობა კვლავაც გრძელდება.

**Teona Benashvili**

Giorgi Mtatsmindeli University of Chant

Master of Church Musicology

### **“Keba Kebulta” (Praise of the Praised) – Forgotten Hymns**

#### **in the Georgian Chant Tradition**

The Georgian chant tradition is very old. It has many different kinds of hymns with rich words and music. In old Georgian chant books, we can find hymns for the church service. But there are also other hymns that are **not part of the church** service. These hymns are called **“Keba Kebulta” (Praise of the Praised)**. Today, people do not perform these hymns in church.

The goal of this report is to make these hymns more popular and to bring them back into the repertoire of modern chanters. This will make the chanting tradition richer. We also believe it will help to restore **an old tradition**. This is important for keeping Georgian culture alive and helping chanter have more chants to perform. This topic is also important because the hymns in “Keba Kebulta” are from a special group called **heirmos**. These hymns use a different music system than the usual the Eight-tone system. Many people have studied this music system and research is still continuing.

**გიორგი აბრამიშვილი**

გიორგი მთაწმინდელის სახელობის

გალობის უნივერსიტეტი

საეკლესიო მუსიკათმცოდნეობის მაგისტრი

### **XIX-XX საუკუნეების სანოტო ხელნაწერებისა და X-XI საუკუნეების**

#### **ჰიმნოგრაფიული კრებულების ურთიერთკავშირის შესახებ**

ქართული საეკლესიო გალობის სიმღერის დამადასტურებელი არაერთი დოკუმენტი არსებობს. თუმცა საინტერესოა, რამდენად ესადაგება XIX საუკუნეში ჩაწერილი გალობის ნოტირებული ხელნაწერები შუა საუკუნეების ჰიმნოგრაფიულ კრებულებს.

წინამდებარე მოხსენებაში განვიხილავთ ზოგიერთ ჰიმნოგრაფიულ კანონზომიერებას, რომელიც XIX-XX საუკუნეების სანოტო ხელნაწერებში არის გამოვლენილი. ამასთან, ლიტურგიკული და ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძველზე დავადასტურებთ, რომ XIX-XX საუკუნეების სანოტო ხელნაწერებში გამოვლენილი კანონზომიერებანი კავშირს ჰპოვებს X-XI საუკუნეების ჰიმნოგრაფიულ კრებულებთან.

**Giorgi Abramishvili.**

Giorgi Mtatsmindeli University of Chant.

Master of Church Musicology

**Connections Between 19th-20th Century Musical Manuscripts  
and 10th-11th Century Hymnographic Collections**

Numerous documents attest to the ancient origins of Georgian ecclesiastical chant. This fact is also accompanied by a compelling question: To what extent do musically notated chant manuscripts of the 19th century correspond with medieval hymnographic collections? In this presentation, we will examine specific hymnographic regularities observable in 19th- to 20th-century musical manuscripts. Moreover, through a comprehensive liturgical and textological analysis, we demonstrate that the regularities identified in the 19th- to 20th-century notated manuscripts are closely related to the 10th- to 11th-century hymnographic collections.

**მონოზონი წინო სამხარაძე**

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

Doctoral (PHD) Student

**თანხმობისა და სხვაობის ძიებაში („შეხვეტილიანისა“ და  
ანდრია კრიტელის დიდი კანონის მიხედვით)**

დიდმარხვის ისეთი დიდი ლიტურგიკული ციკლები, როგორიცაა „შეხვეტილიანი“ და ანდრია კრიტელის დიდი კანონი, წმიდა ორმოცეულის საკვანძო მუსიკალური ციკლებია. მათი ძირითადი გადაკვეთის წერტილები თემატურ (ორივეში სინანულის თემა), კომპოზიციურ (ცისკრის მსახურებაში მათი ჩართვის მსგავსი არქიტექტონიკა) და შინაარსობრივ (კრიტელის კანონში ბიბლიის ქრონოლოგიური თხრობა, „შეხვეტილიანში“ — ქრისტეს ვნების თანმიმდევრული სახარებისეული ნარატივი) პლანში ჩანს. ორივე მოცულობითი ციკლია (ანდრია

კრიტელის კანონი 250 დასდებელსა და 11 ძლისპირს აერთიანებს, „შეხვეტილიანი“ კი - 70 საგალობელს, რომელსაც 33 ჰანგი აქვს შეფარდებული) და ამ თვისებითაც სხვა ციკლებისგან გამოირჩევიან. მათი საერთო მახასიათებლების შესახებ ჯერ კიდევ სამაგისტრო ნაშრომში (2019 წ.) გამოვთქვით აზრი, თუმცა მუსიკალური კვლევა არ განგვიხორციელებია.

წინამდებარე მოხსენება მიზნად ისახავს დიდმარხვის ორი დიდი მუსიკალური-ლიტურგიკული ციკლის ურთიერთშედარებას. ციკლების კომპარატიული კვლევა საშუალებას მოგვცემს გამოვკვეთოთ თანხვედრის დონეები, ან არსებობის შემთხვევაში, გამოვააშკარაოთ და დავადგინოთ ფუნდამენტური განსხვავებების მიზეზები.

**Nun Nino Samkharadze.**

Tbilisi State Conservatoire

Doctoral (PHD) Student

### **In Search of Convergence and Divergence**

**(Based on the “Shekvetiliani” and the Great Canon of St. Andrew of Crete)**

The major liturgical cycles of Great Lent, such as the Shekvetiliani and the Great Canon of St. Andrew of Crete, represent key musical cycles of the Holy Forty Days. Their main points of intersection are thematic (the theme of repentance present in both), compositional (a similar architectural structure in their inclusion within the Matins service), and contextual (a chronological biblical narrative in the Canon of St. Andrew; a sequential Gospel narrative of Christ’s Passion in the Shekvetiliani). Both are large-scale cycles — the Canon of St. Andrew consists of 250 troparia and 11 Heirmoses, while the “Shekvetiliani” includes 70 hymns set to 33 musical tunes — which also distinguishes them from other cycles.

We first proposed the idea of their shared characteristics in a master’s thesis (2019), although no musical analysis was carried out at the time.

The purpose of this presentation is to compare these two major musical-liturgical cycles of Great Lent. A comparative study of the cycles will allow us to highlight the levels of convergence and, if present, reveal and determine the reasons behind any fundamental differences.

**ეკატერინე ყაზარაშვილი**

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

დოქტორანტი

**ქრისტეშობის ჰიმნები აღმოსავლეთ საქართველოს**

**სამგალობლო ტრადიციაში**

ქრისტეშობის საგალობლები აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის ამსახველ სხვადასხვა სანოტო წყაროშია შემონახული. ესენია XIX-XX საუკუნის სანოტო ხელნაწერები და გამოქვეყნებული კრებულები. როგორც მუსიკალური მასალების შესწავლით ირკვევა ძმები კარბელაშვილებისა და სხვათა მიერ ძირითადად ჩაწერილია ქრისტეშობის საცისკრო კანონის სძლისპირები, ასევე ტროპარ-კონდაკი. პოლიექტოს კარბელაშვილის სანოტო არქივში საგალობლების გარკვეული ნაწილი ცალ-ცალი ხმით არის ფიქსირებული. უმეტესად სრულად ჩაწერილია საგალობლს პირველ ხმა, ხოლო მეორე ხმა გვხვდება ფრაგმენტულად და ფანქრით არის ხმა შეწყობილი. ამ პრინციპით ერთი და იგივე საგალობლის რამდენიმე ვერსია ვლინდება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს იყო ხმათა შეწყობის სხვადასხვა სამუშაო ვარიანტები, რამაც საბოლოოდ ასახვა ჰპოვა 1898 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „საგალობელნი შობის დღესასწაულისანი“.

ჩვენი მოხსენების მიზანია დღემდე შემორჩენილი აღმოსავლეთის სამგალობლო სკოლის ქრისტეშობის ყველა სანოტო ჩანაწერის შესწავლა. ასევე, საგალობელთა ვარიანტების დაჯგუფება მსახურებისა და ჟანრების მიხედვით, სხვადასხვა წყაროების



მიხედვით ერთი და იგივე საგალობლების მუსიკალური ენის თავისებურებების გამოვლენა და შედარება.

ამდენად, ეს კვლევა საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ყველა ის ქრისტეშობის საგალობელი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის ამსახველ სხვადასხვა სანოტო ხელნაწერშია დაცული.

**Ekaterine Kazarashvili**

Tbilisi State Conservatoire

PHD Student

### **Christmas Hymns in the Eastern Georgian Chant Tradition**

The hymns of the Nativity of Christ are preserved in various musical sources reflecting the hymn tradition of Eastern Georgia. These are musical manuscripts of the 19th-20th centuries and published collections. As can be seen from the study of musical materials, the Karbelashvili brothers and others mainly recorded the main parts of the Nativity of Christ's canon, as well as the troparion-kontakion.

In the musical archive of Polievktos Karbelashvili, a certain part of the hymns is fixed in parts. Mostly the first part of the hymn is fully recorded, while the second part is found fragmentarily and the voice is arranged in pencil. This principle reveals several versions of the same hymn, which indicates that these were different working variants of the arrangement of voices, which were finally reflected in the collection „Hymn for the holiday of Christmas” published in 1898.

The purpose of our report is to study all musical notes of the Eastern hymnal school of Christ that have survived to this day. Also, grouping of hymn variants according to services and genres, Identifying and comparing the characteristics of the musical language of the same hymns in different musical sources.

Thus, this study will allow us to identify all the hymns that are preserved in various musical manuscripts reflecting the Eastern Georgian chant tradition.